

დამატებითი პირობები

სესხი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის ფონდების მიერ

განსაზღვრებანი

„აფილიატები“ ნიშნავს მსესხებლის შვილობილ ან ჰოლდინგურ კომპანიას, ან აღნიშნული ჰოლდინგური კომპანიის შვილობილ კომპანიას.

„ავტორიზაცია“ ნიშნავს ავტორიზაციას, ნებართვას, თანხმობას, დამტკიცებას, რეზოლუციას, ლიცენზიას, ვალდებულებებიგან განთავისუფლებას, სისტემატიზაციას, ნოტარიულად დამოწმებას ან რეგისტრაციას.

EIB-ის განცხადება გარემოსა და სოციალური პრინციპებისა და სტანდარტების შესახებ - ნიშნავს განცხადებას, რომელიც გამოქვეყნებულია EIB ვებგვერდზე (http://www.eib.org/attachments/strategies/eib_statement_esps_en.pdf) და რომელიც განსაზღვრავს იმ სტანდარტებს, რომლებსაც EIB მოითხოვს მის მიერ დაფინანსებული პროექტებისგან, ასევე სხვადასხვა მხარის პასუხისმგებლობებს.

„გარემო“ ნიშნავს შემდეგს, რამდენადაც იგი ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე:

- ა) ფაუნა და ფლორა;
- ბ) ნიადაგი, წყალი, ჰაერი, კლიმატი და ლანდშაფტი;
- გ) კულტურული მემკვიდრეობა; და
- დ) განაშენიანებული გარემო.

„გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები“ ნიშნავს:

- ა) გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობებს, რომლებიც ვრცელდება პროექტზე ან მსესხებელზე; და
- ბ) EIB -ის განცხადება გარემოსდაცვით და სოციალურ პრინციპებთან და სტანდარტებთან დაკავშირებით.

„გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“ ნიშნავს:

- (ა) ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის პრინციპებსა და სტანდარტებს;
- (ბ) საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასა და რეგულაციებს; და

(c) საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს, რომლებიც ხელმოწერილია და რატიფიცირებულია ან სხვამხრივ ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოსთვის;

რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს გარემოს შენარჩუნება, დაცვა ან გაუმჯობესება.

„გარემოსდაცვითი ან სოციალური ნებართვა“ ნიშნავს ნებისმიერ ნებართვას, ლიცენზიას, ავტორიზაციას, თანხმობას ან სხვა ნებართვას, რომელიც მოითხოვება გარემოსდაცვითი კანონმდებლობით ან სოციალური კანონმდებლობით პროექტის მშენებლობასთან ან ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

„გამონაკლისი სიტუაცია“ ნიშნავს ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ სიტუაციას, რომელშიც შესაბამისი საწარმო შეიძლება აღმოჩნდეს:

(i) გაკოტრებულია ან იმყოფება დაშლის პირას, მის საქმეებს მართავენ სასამართლოები, ამ კონტექსტში, გაფორმებული აქვს შეთანხმება კრედიტორებთან, შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა, წარმოადგენს აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით სამართალწარმოების სუბიექტს, ან იმყოფება ნებისმიერ სხვა ანალოგიურ სიტუაციაში, რომელიც მომდინარეობს მსგავსი პროცედურიდან, როგორც ეს განსაზღვრულია ადგილობრივ კანონმდებლობასა და რეგულაციებში;

(ii) საწარმო ან პირები, რომლებსაც გააჩნიათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის უფლებამოსილება, ბრალდებულნი არიან დანაშაულში, რომელიც ეხება პროფესიონალურ ქცევას იმ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც გააჩნია კანონიერი ძალა, რამაც შეიძლება იმოქმედოს მის კრედიტუნარიანობაზე.

(iii) საწარმო ან პირები, რომლებსაც გააჩნიათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის უფლებამოსილება, ექვემდებარებიან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას თაღლითობის, კორუფციის, კრიმინალურ ორგანიზაციასთან კავშირის, ფულის გათეთრებაში ან ნებისმიერ სხვა უკანონო საქმიანობაში მონაწილეობის გამო, რაც დესტრუქციულად მოქმედებს ევროკავშირის ინტერესებზე;

(iv) არასწორად წარაადგენს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა მსესხებლის შერჩევის პროცესში, ან ვერ უზრუნველყოფს ასეთ ინფორმაციას; და

(v) მისი ინფრომირებულობის ფარგლებში, გონივრული გამოკითხვის ჩატარების შემდეგ, იგი შეეყვანილია ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში, რომელიც შედგენილია და გამოიყენება ევროპული კომისიის მიერ ევროკომისიის (EC, Euratom) 2008 წლის 17 დეკემბრის ცენტრალური გამონაკლის მონაცემთა ბაზის შესახებ რეგულაციის No 1302/2008 საფუძველზე;

იმ შემთხვევაში, თუ პუნქტები (ii) და (iii) არ გავრცელდება, თუ შესაბამისი საწარმო, მსესხებლისთვის მისაღები პირობებით, დაადგენს, რომ მიღებულია ადეკვატური ზომები იმ პირების წინააღმდეგ, რომლებსაც გააჩნიათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება, ასევე გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის უფლებამოსილება, ექვემდებარებიან სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს, როგორც აღნიშნულია პუნქტებში (ii) და (iii).

„ტერორიზმის დაფინანსება“ ნიშნავს ფინანსური სახსრების ან სხვა ქონების შეგროვებას ან მიწოდებას იმის წინასწარი შეცნობით, რომ ისინი/იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ისეთი დანაშაულის ჩასადენად, რომლებსაც განსაზღვრავს მუხლი 1-დან 4-მდე, ევროსაბჭოს 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/475/JHA ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ.

„ILO“ - ნიშნავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას.

„ILO-ს სტანდარტები“ ნიშნავს ნებისმიერ საერთაშორისო შეთანხმებას, კონვენციას ან ხელშეკრულებას, რომლებიც ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოსთვის, ასევე ნიშნავს შრომის ძირითად სტანდარტებს (როგორც განსაზღვრულია ILO-ს დეკლარაციაში სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ).

„ფულის გათეთრება“ ნიშნავს:

- (i) ქონების კონვერსია ან გადაცემა მიუხედავად ინფორმაციისა, რომ ასეთი ქონება მიღებულია კრიმინალური მოქმედების ან ასეთ მოქმედებაში მონაწილეობის შედეგად, ქონების უკანონო წარმომავლობის დამალვის ან შენიღბვის მიზნით, ან ნებისმიერი იმ პირის დახმარების მიზნით, ვინც ჩართულია ასეთი მოქმედების განხორციელებაში იმისათვის, რომ დაიმალოს მისი მოქმედების სამართლებრივი შედეგები;
- (ii) ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილის, განლაგების, მოძრაობის, უფლებების დამალვა ან შენიღბვა ქონებასთან ან მის ფლობასთან მიმართებაში, მიუხედავად ინფორმაციისა, რომ ასეთი ქონება მიღებულია კრიმინალური მოქმედების ან ასეთ მოქმედებაში მონაწილეობის შედეგად;
- (iii) ქონების შექმნა, ფლობა ან გამოყენება, მიუხედავად ინფორმაციისა, რომ ქონების მიღების მომენტისთვის, ასეთი ქონება მიღებულია კრიმინალური მოქმედების ან ასეთ მოქმედებაში მონაწილეობის შედეგად; ან
- (iv) ზემოთ მოცემულ პუნქტებში აღნიშნულ ნებისმიერ მოქმედებაში მონაწილეობის მიღება, ან ამ მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისთვის, ან მონაწილეობის მიღების მცდელობისთვის, ან დახმარებისთვის, ხელშეწყობისთვის და მონაწილეობის მისაღებად სათანადო კონსულტაციისთვის სხვა პირებთან კავშირი.

„არათანამშრომლური იურისდიქცია“ ნიშნავს ნებისმიერ იურისდიქციას, რომელიც არ თანამშრომლობს ევროკავშირთან საერთაშორისოდ შეთანხმებული საგადასახადო სტანდარტის

გამოყენებასთან დაკავშირებით (ანუ ნებისმიერი იურისდიქცია, რომელიც კლასიფიცირდება როგორც „ვალდებულებების არშემსრულებელი“ იურისდიქცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ და მისი გლობალური ფორუმის მიერ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და გაცვლის შესახებ საგადასახო მიზნებისთვის, თუ სხვაგვარი მითითება არ იქნება გაცემული მსესხებლის მიერ).

„აკრძალული ქცევა“ ნიშნავს ტერორიზმის, ფულის გათეთრების ან აკრძალული პრაქტიკის ნებისმიერ დაფინანსებას.

„აკრძალული პრაქტიკა“ ნიშნავს:

- a) იძულების პრაქტიკას, რაც ნიშნავს ზიანის ან ზარალის მიყენებას, ან ზიანის ან ზარალის მიყენების მუქარას, პირდაპირ თუ ირიბად, ნებისმიერი მხარისთვის ან მხარის ქონებისთვის, ამ მხარის მოქმედებაზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით;
- b) შეთქმულების პრაქტიკას, რომელიც ნიშნავს მოლაპარაკებას ორ ან მეტ მხარეს შორის, რომლის მიზანია არასათანადო მიზნის მიღწევა, მათ შორის არასათანადო ზემოქმედება მეორე მხარის მოქმედებებზე;
- c) კორუბციული პრაქტიკა, ნიშნავს ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის ნებისმიერი ღირებული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მის მიღებაში დახმარების გაწევას, მეორე მხარის მოქმედებებზე ზემოქმედების მიზნით;
- d) თაღლითური პრაქტიკა, ნიშნავს ნებისმიერ აქტს ან დაუდევრობას, მათ შორის არასწორად წარმოდგენას, რასაც გაცნობიერებულად თუ გაცნობიერების გარეშე მოტყუებაში შეჰყავს ან ცდილობს მოტყუებაში შეიყვანოს მეორე მხარე მისგან ფინანსური ინფორმაციის ან სხვა სარგებლის მისაღებად, ან ვალდებულების შესრულებისთვის თავის ასარიდებლად; ან
- e) ობსტრუქციონისტული პრაქტიკა, იძულების, შეთქმულების, კორუბციის ან თაღლითური პრაქტიკების გამოძიებასთან მიმართებაში წინამდებარე სესხთან ან პროექტთან დაკავშირებით, ნიშნავს (i) გამოძიების სამხილების განზრახ განადგურებას, გაყალბებას, შეცვლას ან დამალვას; და/ან ნებისმიერი მხარის დამუქრებას, შევიწროებას ან დაშინებას მის მიერ გამოძიების სამხილების გამხელის ან გამოძიებისთვის ხელშეწყობის პრევენციის მიზნით, ან (ii) მოქმედებები, რომელთა მიზანია აუდიტის მიერ საკონტრაქტო უფლებების განხორციელებისთვის, ან ინფორმაციასთან წვდომისთვის ხელის შეშლა.

„პროექტი“ ნიშნავს იმ ღონისძიებების კომბინაციას, რისთვისაც იქნა გაცემული სესხი.

„სანქცირებული პირები“ ნიშნავს ნებისმიერ პიროვნებას ან საწარმოს, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან ერთ ან ერთზე მეტ სანქცირებულ პირთა სიაში.

„სანქციების სია“ ნიშნავს:

(ა) ნებისმიერ ეკონომიკურ, ფინანსურ და სავაჭრო შემზღვეველ ღონისძიებებს და იარაღის ემბარგოებს, რომლებიც გაცემულია ევროკავშირის მიერ ევროკავშირის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების V კარის მე-2 თავის შესაბამისად, ასევე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების 215-ე მუხლის შესაბამისად, რომლებიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება იმ შეთანხმებებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდებზე

http://ec.europa.eu/external_relations/cfsp/sanctions/list/version4/global/global.xml და

<https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters->

[homepage_en/8442/Consolidated%20list%20of%20sanctions](https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/8442/Consolidated%20list%20of%20sanctions), მათში ნებისმიერ დროს შესული ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით;

ბ) ნებისმიერი ეკონომიკური, ფინანსური და სავაჭრო შემზღვეველი ღონისძიებები და იარაღის ემბარგო, რომლებიც გაცემულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს ქარტიის 41-ე მუხლის შესაბამისად, რომლებიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება იმ შეთანხმებებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://www.un.org/sc/suborg/en/sanctions/un-sc-consolidated-list>, მათში ნებისმიერ დროს შესული ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით; ან

გ) ნებისმიერი ეკონომიკური, ფინანსური და სავაჭრო შემზღვეველი ღონისძიებები და იარაღის ემბარგო, რომლებიც გაცემულია კომპეტენტური ორგანოების/ოფიციალური დაწესებულებების ან სააგენტოების მიერ, რომელთა ვალდებულებაა აშშ-ში სანქციების გამოყენება, ამოქმედება ან აღსრულება, მათ შორის აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის უცხოური აქტივების მართვის განყოფილება, რომელიც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით, რაც ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://www.treasury.gov/resource-center/sanctions/Programs/Pages/Programs.aspx>, მათში ნებისმიერ დროს შესული ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

„სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონი“, ნიშნავს:

ა) ნებისმიერ კანონს, წესს ან რეგულაციას, რომელიც მოქმედებს საქართველოში და შეეხება სოციალურ საკითხებს;

ბ) ILO -ს ნებისმიერ სტანდარტს;

გ) ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმება, კონვენცია ან ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი და რატიფიცირებულია და სხვაგვარად მოქმედებს და გააჩნია სავალდებულო ძალა საქართველოსთვის.

„სუბსიდიარი“ ნებისმიერ პირთან, კომპანიასთან ან კორპორაციასთან მიმართებაში, ნიშნავს:

ა) პირს, კომპანიას ან კორპორაციას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იმართება პირველად ნახსენები პირის მიერ; ან

ბ) რომლის სულ მცირე ნახევარი გაცემული სააქციო კაპიტალი, ქონება ან სხვა ქონებრივი ინტერესი წარმოადგენს პირველად ნახსენები პირის პირდაპირ თუ ირიბ საკუთრებას, ან როდესაც ხმის მიცემის უფლების დიდი ნაწილი პირდაპირ თუ ირიბად კონტროლირდება პირველად ხსენებული პირის მიერ; ან

გ) რომელიც წარმოადგენს პირველად აღნიშნული პირის სხვა სუბსიდიარის სუბსიდიარს, და, ამ მიზნით, კომპანია ან კორპორაცია უნდა ჩაითვალოს სხვა პირის მიერ კონტროლირებულად, თუ იმ სხვა პირს შეუძლია მართოს მისი საქმეები და/ან გააკონტროლოს მისი კანონიერი ორგანოების, სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა მსგავსი ორგანოების უმრავლესობის შემადგენლობა.

1. EIB-ის მონაწილეობა

1.1. გამსესხებელი აქვე აცნობებს მსესხებელს, რომ სესხით გათვალისწინებული ფულადი სახსრები უზრუნველყოფილია ევროპის საინვესტიციო ბანკის (შემდგომში „EIB“) სახსრების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენების გზით.

1.2. სესხის დაფინანსება განხორციელებულია ევროკავშირის მხარდაჭერით DCFTA ხელშეკრულების აღმოსავლეთის ინიციატივის საფუძველზე.

2. ზოგადი წარმომადგენლობები და გარანტიები

2.1. მსესხებელი გამსესხებლისთვის წარმოადგენს და უზრუნველყოფს გარანტიას, რომ:

ა) რამდენადაც მისთვის ცნობილია, პროექტში ჩადებული ფინანსური სახსრები არ არის უკანონო წარმოშობის, არ არის დაკავშირებული ფულის გათეთრების პროდუქტებთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან.

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამსესხებლისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტი ნამდვილი და სწორია.

გ) იგი არ აღმოჩენილა ნებისმიერ ასეთ ექსკლუზიურ სიტუაციაში ნებისმიერ დროს ხუთი (5) წლის განმავლობაში მანამ, სანამ მოხდებოდა გამსესხებლის მიერ მათი შეფასება სესხის დაფინანსების მიზნებისთვის.

დ) იგი არ არის დაფუძნებული „არათანამშრომლორ“ იურისდიქციაში.

3. მსესხებლის ვალდებულებები:

- 3.1. ოპერატიულად მიაწოდოს გამსესხებელს ან EIB-სს (საკუთარი ან ევროკომისიის სახელით) ნებისმიერი დოკუმენტი ან ანგარიში, რომელიც მოითხოვა გამსესხებელმა და/ან EIB-მ სესხთან და/ან პროექტთან დაკავშირებით.
- 3.2. სწრაფად მიაწოდოს გამსესხებელს ან EIB-სს (წერილობით) ნებისმიერი ინფორმაცია და გაუწიოს ნებისმიერი სხვა დახმარება, რასაც მოითხოვს გამსესხებელი და/ან EIB, ევროკომისის ან EIB-ის მიერ ევროკავშირის კონტრიბუციის შესაფასებლად, DCFTA ხელშეკრულების აღმოსავლეთის ინიციატივის საფუძველზე.
- 3.3. გამოიყენოს სესხი ექსკლუზიურად პროექტის ფინანსირების მიზნებისთვის.
- 3.4. დაასრულოს პროექტი იმ ვადებში, რომლებიც განსაზღვრულია სესხის პირობებში.
- 3.5. განახორციელოს და ექსპლუატაციაში გაუშვას პროექტი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვით; მიიღოს, შეინარჩუნოს და დაიცვას მოთხოვნილი გარემოსდაცვითი და სოციალური ნებართვები; და როგორც შემთხვევა მოითხოვს, საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისად და გამსესხებლის მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს სამხილები აღნიშნული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით.
- 3.6. განახორციელოს და ექსპლუატაციაში გაუშვას პროექტი ევროკავშირის კანონმდებლობის სათანადო სტანდარტების შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც მათი შესრულება დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში ან როგორც განსაზღვრულია EIB -ის და ასევე საქართველოს სათანადო კანონმდებლობის მიერ.
- 3.7. ძალაში შეინარჩუნოს და გამოიყენოს სხვის ტერიტორიაზე შესვლისთვის მოპოვებული ყველა უფლება და ყველა ნებართვა და ავტორიზაცია, რაც აუცილებელია პროექტის განხორციელებისა და ექსპლუატაციის მიზნით და დაიცვას ყველა ის კანონმდებლობა, რომელსაც იგი ან პროექტი ექვემდებარება;
- 3.8. მოითხოვოს სახსრების გამოყოფა საბანკო ანგარიშიდან და ნებისმიერი გადახდები, რომლებიც განხორციელდა მსესხებლის სახელით იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც მას გააჩნია სათანადო ავტორიზებულ ფინანსურ დაწესებულებაში იმ იურისდიქციაში, სადაც მსესხებელი ახორციელებს პროექტს.
- 3.9. შეინარჩუნოს, შეაკეთოს, შეარემონტოს ყველა ის ქონება, რაც წარმოადგენს პროექტის ნაწილს და როგორც მოითხოვება იმისათვის, რომ ქონება შენარჩუნებულ იქნას კარგ სამუშაო მდგომარეობაში.
- 3.10. ინტეგრაციულობის ვალდებულება
- 3.11. მიაწოდოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია/დოკუმენტი გამსესხებელს და/ან ნებისმიერ მესამე პირს (რომელიც მოიცავს თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ევროპის საინვესტიციო ბანკი

(რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ლუქსემბურგში, -2950, ადენაუერი, კონრადის ბულვარი 100) და მისი შვილობილი კომპანიები/კონტრაქტორები) სესხთან და/ან პროექტთან დაკავშირებით, მსესხებლის მოთხოვნისთანავე.

(a) აკრძალული ქმედება:

- (i) მსესხებელი არ უნდა ჩაერთოს (არ უნდა მისცეს უფლებამოსილება ან ნებართვა ნებისმიერ შვილობილ კომპანიას ან სხვა ნებისმიერ იმ პირს, რომელიც მოქმედებს მისი სახელით, რომ ჩაერთოს) ნებისმიერ აკრძალულ ქმედებაში, პროექტთან დაკავშირებით, პროექტის ნებისმიერ სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით, ან სესხში გათვალისწინებულ ნებისმიერ გარიგებასთან დაკავშირებით.
- (ii) მსესხებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რომელსაც გამსესხებელი გონივრულად მოითხოვს ნებისმიერი შესაძლო ან საეჭვო აკრძალული მოქმედების ფაქტის გამოძიების ან შეწყვეტის მიზნით.
- (iii) მსესხებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ ამ სესხით დაფინანსებულ კონტრაქტებში გათვალისწინებული იყოს აუცილებელი დებულებები იმისათვის, რომ მსესხებელმა შესძლოს პროექტთან დაკავშირებით ნებისმიერი აკრძალული ქმედების შესაძლო ან საეჭვო ფაქტის გამოძიება ან შეწყვეტა.
- (iv) მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აუწყოს გამსესხებელს, თუ ნებისმიერ დროს მისთვის ცნობილი გახდება პროექტში ჩადებული ნებისმიერი თანხის უკანონო წარმომავლობის შესახებ, მათ შორის ფულის გათეთრების შესახებ, ან ისეთი ფაქტის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსებასთან და თუ ამ ყველაფერს კავშირი აქვს პროექტთან ან სესხთან.
- (v) მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აუწყოს გამსესხებელს აკრძალულ ქმედებასთან დაკავშირებული რეალური ვარაუდის, საჩივრის ან ინფორმაციის შესახებ, იმ ფინანსურ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა სესხის პირობებით ან პროექტით.

(b) სანქციები: მსესხებელმა არ უნდა (i) დაამყაროს არანაირი ბიზნეს ურთიერთობა ნებისმიერ სანქციადაკისრებულ პირთან, ან (ii) გახადოს ნებისმიერი ფინანსურ სახსრები ხელმისაწვდომი სანქციადაკისრებული პირისთვის ან მის სასარგებლოდ, პირდაპირი თუ ირიბი გზით;

(c) მსესხებლის მენეჯმენტი. მსესხებელი იღებს ვალდებულებას გონივრული დროის მონაკვეთის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი ზომები მისი მენეჯმენტის ნებისმიერ წევრთან დაკავშირებით, ვინც:

(i) გახდება სანქციადაკისრებული პირი; ან

(ii) ექვემდებარება სასამართლოს საბოლოო და შეუქცევად ბრძანებას იმ აკრძალულ ქნედებასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს მათი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას,

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი წევრის უფლებები შეჩერდეს, ან მოხსნილ იქნას თანამდებობიდან ან ნებისმიერ შემთხვევაში გამორიცხულ იქნას მსესხებლის ღონისძიებებიდან, სესხთან და პროექტთან მიმართებაში.

(d) **FATF**: მსესხებელი ვალდებულია შეადგინოს, შეინარჩუნოს და დაიცვას შიდა პროცედურები და მაკონტროლებელი საშუალებები საფინანსო მოქმედებათა ჯგუფის რეკომენდაციებისა და სტანდარტების შესაბამისად, მათში დროდადრო შესული ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით.

3.12. დაუყოვნებლივ აცნობოს გამსესხებელს სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით;

3.13. დაუყოვნებლივ აცნობოს გამსესხებელს ნებისმიერი იმ ღონისძიების შესახებ, რომელიც მიღებულია 3,10 მუხლის (გ) პუნქტის შესაბამისად.

3.14. იქონიოს/აწარმოოს და შესძლოს ყველა რელევანტური ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოება (მათ შორის კონტრაქტები, რომლებიც დაფინანსებულია სესხის შემოსავლებიდან (მათ შორის თავად კონტრაქტის ასლი) და მატერიალური დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონტრაქტის შესყიდვასთან და განხორციელებასთან), სესხისა და პროექტის განხორციელების მიზნით 7 (შვიდ) წლიანი პერიოდის განმავლობაში, სესხის პირობების შესრულების შენდევ.

3.15. აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვები და ჩანაწერები ყველა ფინანსური გარიგებებისა/ოპერაციებისა, გასავლებისა და კონტრაქტებისა, რომლებიც დაფინანსებულია სესხიდან და პროექტიდან მიღებული შემოსავლებიდან.

3.16. შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც მოცემულია ამ დანართში.

3.17. სრულყოფილად ითანამშრომლოს ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვისთვის ამ სესხის პირობების მიხედვით ან მასთან მიმართებაში.

3.18. უზრუნველყოს ყველა პირობა იმისათვის, რომ ევროკომისიამ გამოიყენოს მისი უფლება მისი კომპეტენციების კომპლექსური განხორციელებისთვის;

3.19. ყოველთვის დაიცვას სათანადო სტანდარტები და მოქმედი კანონმდებლობა საგადასახო თაღლითობის აღკვეთასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ მასზე ვრცელდება.

3.20. იგი არ უნდა იყოს დაფუძნებული იმ იურისდიქციაში, რომელიც არ არის მოთანამშრომლე იურისდიქცია (გარდა იმისა, როდესაც არსებობს მსესხებლის კონტროლს მიღმა არსებული მოვლენები ან ვითარებები).

3.21. მოკვლევა და ინფორმაცია

მსესხებელი იღებს ვალდებულებას:

ა) განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელსაც მსესხებელი გონივრულად მოითხოვს იმ ნებისმიერი შესაძლო ან საექვო აქტის მოკვლევის და/ან შეწყვეტის მიზნით, რომლის თვისებაც აღწერილია 2.12 მუხლში (ინტეგრაციულობის ვალდებულება) თუ ასეთი ღონისძიებების მიღება არ დაარღვევს მსესხებელზე მოქმედ ნებისმიერ კანონმდებლობას;

ბ) აცნობოს გამსესხებელს ნებისმიერი ისეთი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიღებულია ზარალის ანაზღაურების მიზნით იმ პირებისგან, ვინც პასუხისმგებელი არიან ნებისმიერ ზარალზე ნებისმიერი ასეთი აქტის შედეგად; და

გ) ხელი შეუწყოს ნებისმიერ ისეთ მოკვლევას, რომელსაც გამსესხებელი და/ან EIB ჩაატარებს ნებისმიერ ასეთ აქტთან დაკავშირებით.

3.22. ვიზიტები EIB-ის მიერ, წვდომის უფლება და მოკვლევა

(a) მსესხებელი ვალდებულია ნება დართოს EIB-ის მიერ დანიშნულ ნებისმიერ პირებს, ასევე იმ პირებს, რომლებიც დანიშნულია ევროკავშირის კომპეტენტური დაწესებულებების მიერ (შეზღუდვის გარეშე), მათ შორის ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს, ევროპული კომისიის და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის ოფისის მიერ, და ზემოთ აღნიშნული დაწესებულებების მიერ ავტორიზებულ ნებისმიერ აუდიტორს:

(i) განახორციელოს ვიზიტი ობიექტზე, პროექტთან დაკავშირებულ სამუშაო და სამონტაჟო ობიექტებზე და მსესხებლის შენობა-ნაგებობებში და ჩაატაროს ისეთი შემოწმება, რომელსაც იგი შესაფერისად მიიჩნევს სესხთან და პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით,

(ii) გამოკითხოს მსესხებლის წარმომადგენლები, კონტრაქტორები, მომწოდებლები და კონსულტანტები და დაბრკოლება არ შეუქმნას კონტრაქტებს სხვა პირებთან, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტში ან ექცევიან პროექტის განხორციელების ზემოქმედების ქვეშ;

(iii) განიხილოს და შემოწმების საფუძველზე დააზუსტოს მსესხებლის საბუღალტრო აღრიცხვებისა და ჩანაწერების სისწორე პროექტის განხორციელებასთან მიმართებაში (ასევე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სათანადო დოკუმენტების ასლების გაკეთება კანონით დაშვებულ ფარგლებში) და დააზუსტოს ეს მონაცემები ადგილზე განხორციელებული შემოწმებების საფუძველზე, პროექტის განხორციელება და მასთან დაკავშირებული კონტრაქტების შესრულება, ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით, იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა რაიმე აკრძალული მოქმედება, რასაც შეეძლო ემოქმედა ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე ნებისმიერ პროექტთან დაკავშირებით; და

(iv) ჩაატაროს სრული აუდიტი, საჭიროების შემთხვევაში, ანგარიშების დამხმარე დოკუმენტების, საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტების და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რაც რელევანტურია პროექტის დაფინანსებისთვის. ასეთი შემოწმებები, კონტროლი და აუდიტი შეიძლება ჩატარდეს სესხის გადასხის თარიღიდან შვიდ (7) წელში.

(b) მსესხებელმა ხელი უნდა შეუწყოს EIB-ის ან ევროკავშირის სხვა კომპეტენტური დაწესებულების ან ორგანოს მიერ ჩატარებულ მოკვლევას ნებისმიერ შესაძლო ან საეჭვო ფაქტთან ან მოვლენასთან დაკავშირებით აკრძალულ ქმედებასთან მიმართებაში და ვალდებულია მიაწოდოს EIB-ს ან უზრუნველყოს, რომ EIB-მ მიიღოს ყველა აუცილებელი დახმარება ამ მუხლში აღწერილი მიზნებისთვის.

(c) მსესხებელი აღიარებს, რომ EIB -ს შეიძლება დაევალოს გადასცეს ინფორმაცია მსესხებელთან და პროექტთან დაკავშირებით ევროკავშირის ნებისმიერ კომპეტენტურ დაწესებულებას ან ორგანოს, მათ შორის ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს, ევროპულ კომისიას და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ ოფისს, რაც აუცილებელია დავალების შესრულებისთვის ევროპული გაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად, და ასევე ევროკავშირის კანონის სავალდებულო დებულებების შესაბამისად.

4. პუბლიკაცია

გამსესხებელი აქვე ინფორმაციას აწვდის მსესხებელს, რომ EIB-ს უფლება აქვს გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდებზე, ან პრესის საშუალებით გამოსცეს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ, სესხის პირობების შესაბამისად. მსესხებელი უფლებამოსილია წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ პუბლიკაციას იმ მიზეზებით, რომლებიც მოცემულია ამ დანართის ნაწილში 5.

5. მსესხებელი აქვე ადასტურებს, რომ EIB უფლებამოსილია გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე, ან პრესის საშუალებით გამოსცეს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ, მათ შორის, (x) მსესხებლის

სახელი, გვარი და მისამართი, ასევე თანხა ევროში, და (y) მსესხებლის სახელი, გვარი, მისამართი და რეგისტრაციის ქვეყანა, ასევე მიღებული ფინანსური დახმარების ტიპი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(X) თავდაპირველი ძირითადი სესხის თანხა არ აღემატება 15,000 ევროს, ან (y) სესხის პირობების მიხედვით ფინანსური დახმარების მიღებამდე, მსესხებელი მიაწვდის ინფორმაციას გამსესხებელს წერილობითი ფორმით და იმ ადეკვატური დასაბუთების საფუძველზე, რომ:

- a. პუბლიკაციის მოთხოვნები საფრთხეს უქმნის მის კომერციულ ინტერესებს,
 - b. საფრთხეს უქმნის შესაბამისი პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც დაცულია ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიით; ან
 - c. თუ ეს უკანონოა ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.
6. მსესხებელი წარმოადგენს და უზრუნველყოფს, რომ (i) გამსესხებელი ან მისი რომელიმე მაკონტროლებელი საწარმო არ ფლობენ ან აკონტროლებენ მსესხებელს და (ii) მსესხებელი არ არის გამსესხებლის მენეჯმენტის ორგანოების წევრი, მისი პერსონალის, ოჯახის წევრი ან ახლო მოკავშირე.

